თამაში და აუტიზმი

" ერთი სიტყვით, თვალწინ მიდგას, როგორ თამაშობენ პატარა ბავშვები დიდველზე, ჭვავის ყანაში. ათასობით ბავშვია და თან არავინ ახლავთ - ესე იგი, არცერთი უფროსი - ჩემს მეტი. მე კიდე საშინელი ციცაბო კლდის პირას ვდგავარ, და ჩემი საქმე - ბავშვების დაჭერაა, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. ისინი თამაშობენ და ვერ ხედავენ საით მირბიან, მე კი ხელს ვსტაცებ, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. სულ ეს არის ჩემი საქმიანობა, ბავშვების დაცვა ჭვავის ყანაში, უფსკრულის პირას."

„აუტისტ ბავშვებს არ შეუძლიათ თამაში“ ესე განმარტავს ერთერთი გერმანული ორგანიზაცია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დამოკიდებულებას თამაშისადმი, არესბობს რათქმაუნდა სხვანაირი ახსნაც. ამერიკელი ექსპერტი კითხვაზე რით გამოირჩევა აუტისტი ბავშვის თამაში, სხვა ბავშვების თამაშისგან? პასუხობს:
„იმის მაგვრად, რომ სათამაშო მანქანა წინ და უკან ატაროს, იღებს მანქანას და მისი ბორბლების ტრიალს იწყებს...“
სათამაშოებთან და თამაშთან აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დამოკიდებულება ზედაპირულად რომ აღვწეროთ, დაახლოებით ესე გამოიყურება, ისინი სათამაშოებს ყოველთვის ერთნაირად, ხშირად თითქოს უმიზნოდ იყენებენ. იმეორებენ მოქმედებებს, გამუდმებით აქნევენ ქაღალდს, ატრიალებენ ბორბალს, აღებენ და ხურავენ კარს, "გაურკვეველ" ფორმას აწყობენ საგნებისგან.... როდესაც ერთიდაიგივე ასაკის აუტისტური სპექტრის მქონე და ტიპური ბავშვის თამაშს ვაკვირდებით, შეიძლება თვალში მოგვხვდეს ის, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები არ თამაშობენ როლურ და იმიტაციურ თამაშებს, არ ბაძავენ ოჯახის წევრებს, არ ინტერესდებიან ე.წ. „ვითომ-ვითომ“ თამაშებით, მაგალითად თითქოს ბანანი ტელეფონის ყურმილია, ან კუბიკი მანქანა, მობილური თვითმფრინავი, არ თამაშობენ: ექიმობანას, სკოლობანას, სახლობანას, მაღაზიობანას და ა.შ.... მაგრამ ძნელია იმის თქმა რომ მათ არ აინტერესებთ საგნები და ამ საგნებს შორის სათამაშო საგნებიც, ანუ ის ნივთები, რითაც მათი თანატოლები ერთობიან და ვითარდებიან. შეიძლება აინტერესებდეთ მანქანა არა მთლიანობაში, არამედ მანქანის ბორბლის პატარა ხრახნი, შეიძლება დაიჭირონ ფანქარი, დააკვირდნენ, შეეხონ და შეიგრძნონ მასზე ამობეჭდილი პატარა ასოები ან ლოგო, მაგრამ არ დახატონ ამ ფანქრით... კიბატონო, ისინი არ თამაშობენ, ისე როგორც ჩვენ ამას მიჩვეული ვართ, ისე როგორც ამას თანატოლ ბავშვთა უმრავლესობა აკეთებს.
მაგრამ თუ მივიჩნევთ, რომ თამაში არის ქცევის ფორმა, რომელიც მხოლოდ მოტივაციას და ინტერესს ეფუძნება, ანუ ამ ქცევის განამხორციელებელი (ბავშვი) მხოლოდ პროცესისგან სიამოვნების მისაღებად თამაშობს, ძნელია ვთქვათ, რომ როდესაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი მაგ.მანქანის ბორბალს ატრიალებს ის სიამოვნებას არ/ვერ იღებს ამ ქმედებისგან. თუმცა ამავე დროს ვერ ვიტყვით რა ძალებისა და შესაძლებლობების განვითარება ხდება ესეთი ტიპის თამაშისას. როდესაც სხვა ბავშვები როლურ თამაშებს თამაშობენ ადვილი შესამჩნევია, რომ ისინი იმ კულტურული გარემოს წესების და ნორმების სწავლას იწყებენ, რომელშიც მოუწევთ ცხოვრება. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვიც თამაშობს, როლური თამაშების თამაშობა მისთვის გაუგებერია, მაგრამ არა თვითონ თამაში -როგორც **ქცევის ფორმა**. სწორედ ეს ქცევაა ყველა ბავშვის განვითარების საფუძველი. ამ ქცევაზე დაფუძნებით შესაძლებელი ხდება

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებმა ისწავლონ სხვა, მათ შორის როლური თამაშებიც. აუტისტი ბავშვი პირველ რიგში ბავშვია და შემდეგ აუტისტი, თამაში კი ნებისმიერი ბავშვის ბუნებრივი ქცევა...
ყველანი ვთამაშობთ და ვდგევართ „არასწორი“ თამაშის არჩევის საშიშროების წინაშე. გარკვეულ შემთხვევაში ნებისმერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს "უფსკრულის" პირას და ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება დაჭირდეს დამხამარე, რომელიც საჭირო მიმართულებას დაანახებს...